ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

45 (9935) • 28 noemberi • 2011 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

რატომ დააჯარიმეს ოზურგეთელი ექიმები? იმიტომ, რომ მინისტრს უხარია?

მარი კოკოლევი

რამდენიმე ოზურგეთელი ექიმი ათასი ლარით დაჯარიმდა. ამის მიზეზი ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევებია. არალიცენზირებული საქმიანობა და ავადმყოფობის ისტორიაში აღმოჩენილი დარღვევები გახდა მკაცრი სანქციების გატარების მიზეზი. დაჯარიმების ფაქტებს ჩვენთან საუბარში თავად დაჯარიმებული ექიმები აღასტურებენ.

მონიტორინგის შედეგად დაჯარიმდნენ როგორც ცენტრალური, ასევე ბავშვთა საავადმყოფოს ექიმებიც.

ბავშვთა საავადმყოფოს ხელმძღვანელის, **დავით მდინარაძის** ინფორმაციით, აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების სამი ექიმი ლეილა ფიფია, დალი მოქია და ცირა ქილიფთარი დაჯარიმდა.

„ჯარიმის მიზეზი იყო არალიცენზირებული საქმიანობა. მინისტრის ბრძანების საფუძველზე ნეონატოლოგიურ ასაკში ანუ დაბადებიდან 28 დღის განმავლობაში ბავშვს შეიძლება უმკურნალოს მხოლოდ ნეონატოლოგმა. ზოგადი პროფილის პედიატრს ამ ასაკში მკურნალობის უფლება არ აქვს. ამ ბრძანებულების დარღვევასთან გვაქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა საავამყოფოს ექიმებმა ბრძანების შესახებ იცოდნენ. მე გაფრთხილებული მყავდა ისინი, მაგრამ რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ეს დარღვევა არ იქნებოდა დასჯადი.

კანონი კანონია რაც არ უნდა იყოს და დაცვა სჭირდება. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ამ კანონის შეცვლა რაღაც დროში მოხდება, რადგან ზოგადი პროფილის პედიატრს უნდა ქონდეს უფლება 28 დღემდე ბავშვსაც უმკურნალოს" - გვითხრა დავით მდინარაძემ.

საპირისპიროს ამტკიცებენ დაჯარიმებულები. ისინი ამ ყველაფერს კანონის არცოდნას აბრალებენ. ამბობენ, რომ მათთვის ინფორმაცია ხელმძღვანელს არ მიუწოდებია მინისტრის ბრძანების შესახებ. „მისი, როგორც ბავშვთა საავადმყოფოს ხელმძღვანელის მოვალეობაა უზრუნველყოს თანამშრომლების ინფორმირებულობა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენს დაჯარიმებაში მისი „წვლილიც" დიდია"-გვითხრეს ექიმებმა, როცა ჩვენ სამივე მათგანს ერთად ბავშვთა საავადმყოფოში შევხვდით.

კიდევ ერთი, ვინც, არალიცენზირებული საქმიანობისთვის დაჯარიმდა ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების ექიმი, **ქეთინო მალაზონიაა.** მას ლიცენზია კრიტიკულ მედიცინაში აქვს. მისი დაჯარიმების მიზეზი ის გახდა, რომ რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსა პაციენტი, რომელიც, როგორც თავად ამბობს, „დადგენილი წესის მიხედვით არ იყო რეანიმაციის ავადმყოფი".

„ქირურგიულ-თერაპიული პაციენტი იყო. უნდა შეეყვანათ შესაბამის განყოფილებაში, მაგრამ იმის გამო, რომ საავადმყოფოში არ არის მოწესრიგებული ავადმყოფთა მიღება-მომსახურების პროცედურები სხვადასხვა პრობლემები აღმოჩნდა შესაბამის განყოფილებებში, ამიტომ საჭირო გახდა ავადმყოფი მიგვეღო. წესით ჩვენ არ უნდა შეგვეყვანა, რადგან რეანიმაციაში თავსდება ისეთი ავადმყოფები, რომლებსაც სასიცოცხლო ფუნქციები დარღვეული აქვთ. ამ შემთხვევაში ასე არ იყო.

მდგომარეობა იყო მკიმე, მაგრამ არა კრიტიკული. მე წინააღმდეგი ვიყავი ჩვენს განყოფილებაში იმ პაციენტის შემოყვანის რომელიც არ იყო რეანიმაციის ავადმყოფი. ამის გამო მისმა ნათესავებმა კინაღამ მცემეს.

ასევე წინააღმდეგობა გამიწიეს სხვა ექიმებმაც, რომლების იმ დროს იქ იყვნენ (ლ. ფიფია, დ. მოქია, ც. ქილიფთარი). ჩემი ყვირილი ეს არ არის სარეანიმაციო, ამისთვის დავისჯები მეთქი, არავინ გაითვალისწინა. იძულებული გავხდი აღნიშნული პაციენტი მიმეღო. ამით დავარღვიე სალიცენზიო უფლება. რომ ვთქვა მართალი ვარ მეთქი, ასე არ არის.

წესით მე კი არ უნდა დავსჯილიყავი, საავადმყოფო უნდა დაჯარიმებულიყო, იმიტომ, რომ არ არის მოწესრიგებული საავადმყოფოს მუშაობა,

თორემ მე არ მომიხდებოდა იმ პაციენტის მიღება. მეუბნებიან რომ დავარღვიე სალიცენზიო უფლება და ვერ ვეწინააღმდეგები, როცა ებრძვი ვიღაცას, მართალი უნდა იყო. სხვა საკითხია რითი იყო განპირობებული ის, რაც გავაკეთე. მე არაფერი დამიშავებია ავადმყოფის წინაშე, პირიქით. დასახელებული ავადმყოფის რეანიმაციაში მოთავსებისთვის პირადი დაინტერესება არ მქონია. ეს აღნიშნა კიდეც მონიტორინგის კომისიის თავმჯდომარემ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა დამჯარიმეს ათასი ლარით. არ ვიცი, რითი უნდა გადავიხადო ამხელა თანხა, როცა ხელფასი დახლოებით 250-260 ლარი მაქვს."-გვითხრა ქეთინო მალაზონიამ.

მონიტორინგი განხორციელდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურშიც. დარღვევები აღმოაჩინეს ავადმყოფობის ისტორიებში. ამასთან დაკავშირებით, სასწრაფოს მთავარ ექიმს, **ნანა გოლიაძეს** ვესაუბრეთ.

„ეს იყო ჩვეულებრივი მონიტორინგი. ამაში საგანგაშო არაფერია. მსგავსი ადრეც ყოფილა. მონიტორინგს მოყვა რაღაც სანქციები. ჯარიმა კი არა ამას სანქციები ქვია. ავადმყოფობის ისტორიებში აღმოჩნდა რაღაც უზუსტობები და ამას უკავშირდება სანქციები, რაც ითვალისწინებს ისტორიების ხარისხის გამოსწორებას".

—რა რაოდენობის თანხის გადახდას გაკისრებთ სანქციები?

— მომდევნო თვეში იმდენით ნაკლები თანხა დაგვერიცხება რამდენსაც სანქციები ითვალისწინებს.

ექიმები დაჯარიმების ფაქტებს არ უარყოფენ, მიუხედავად ამისა ცენტრალური საავადმყოფოს ეკონომისტი, ირაკლი სირაძე ამას არ ადასტურებს.

ირაკლი სირაძე: -ჯერ არ ვიცით ვინ, რატომ და რამდენით დაჯარიმდა. ამის შესახებ ოფიციალური საბუთი, აქტი არ მოგვსვლია. რეგულირების სააგენტოს ჯერ არ გამოუგზავნია მონიტორინგის შედეგები. მეტს ვერაფერს გეტყვით.

—თავად ექიმები ამბობენ, რომ ათასი ლარით დაჯარიმდნენ.

—ექიმები შეიძლება ბევრ რამეს ამბობდნენ(?!)

ექიმები მართლაც ბევრ რამეს ამბობენ, ისინი ვინც დაჯარიმეს და არა მარტო. ისინი, რომლებიც დაჯარიმებას გადაურჩნენ კოლეგების წინააღმდეგ გატარებულ სანქციებზე საკუთარ აზრს ასე აფიქსირებენ.

ქეთინო ცირეკიძე: —„დაჯარიმება დადებით ემოციებთან არაა დაკავშირებული. უსიამონოა, როცა შეცდომებზე ჯარიმის სახით მიგითითებენ. შეიძლებოდა რაღაც სხვა ფორმა გამოძებნილიყო, მაგალითად გაფრთხილება. შემოწმება ადრეც ხდებოდა მაგრამ ახლა ძალიან მტკივნეული გამოდგა, რადგან ყველაფერი ერთად მოხდა. ბევრი ცვლილება განხორციელდა ერთდროულად.

—ახალ საავადმყოფოში როდის გადადიხართ?

—აღარ გვცალია იქით საყურებლად. სულ იმაზე ვფიქრობთ არაფერი შეგვეშალოს და კიდევ არ დაგვაჯარიმონ. ჩვენ პირველ რიგში ვცდილობთ ავადმყოფს არ ვაკნოთ, დავეხმაროთ რითაც შეგვიძლია. ეს იმდენად შრომატევადია, ხანდახან ქაღალდზე ყველაფრის გადმოცემა უბრალოდ ტექნიკურად შეუძლებელი ხდება. აღმოჩნდა, რომ საქმე-საქმეზე რომ მიდგება ვინც ნამუშევარს ამოწმებს დოკუმენტაციით ხელმძღვანელობს. ჩვენ ვერ შევიცვლებით, ამდენი წელია ავადმყოფისთვის თავდადებით ვშრომობთ. ამდენი წლის მანძილზე ღამის თენება, სიცივე. ალბათ, ახლა, პირობებს რომ გაგვუმჯობესებენ კიდევ უფრო თავდადებულები გავხდებით. მე ამის იმედი მაქვს და ეს იმედიც თუ წაგვერთვა მერე აღარ ვიცი რა იქნება."

ლეო თოიძე: —იყო კომისია და დააჯარიმეს ექიმები. 20 ათას ლარს შეადგენს ჯარიმების ჯამი.

მოკლე კომენტარით შემოიფარგლა **ტიტე მგელაძე:**

„ჩვენ მინისტრი გვყავს ისეთი უხარია ექიმებს რომ აჯარიმებს. ძალიან უხარია და რატომ არ ვიცი"

გვითხრა ექიმმა, რომელიც სამედიცინო სფეროში წლებია მოღვაწეობს.

„ტრადიციული და ალტერნატიული მედია და მათი როლი დემოკრატიაში“

ახლახან აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „იუსაიდის“მიერ დაფინანსებულ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დისკუსია გაიმართა თემაზე: „ტრადიციული და ალტერნატიული მედია და მათი როლი დემოკრატიაში.“

ტრადიციული და ალტერნატიული მედიის გამოწვევებზე თავიანთი მოსაზრებები გააცნეს დარბაზში მყოფთ გაზეთების „გურია ნიუსის,“„გურიის მოამბის“ჟურნალისტებმა შორენა ღლონტმა, თეა იოსელიანმა, ოზურგეთის ახალგაზრდა პედagogთა კავშირთან არსებული ლიდერთა სკოლის მოსწავლე თამუნა ხუხიამ, სტუდენტმა დავით ლალიძემ.

დარბაზში მსხდომმა ჟურნალისტებმა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა არაერთი საინტერესო შეკითხვა დასვეს და თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს

დვაბზუელებმა ლალიონის იუბილე აღნიშნეს

წლევანდელმა ნოემბერმა მზიანი დღეები მოგვანატრა. გასულ ხუთშაბათს მზიანი დღე „გამოიჭირეს“ შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა და მათი თანასოფლელის არსენ მამულაიშვილის (ლალიონის) დაბადებიდან 145 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს.

ნუგზარ ასათიანი

დვაბზუს შ. რადიანის სახელობის მუზეუმს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სრულ კორპუსთან ერთად ესტუმრნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელები, ჟურნალისტები.

ეთნოგრაფიული მუზეუმის მწვანე ეზოში საუკუნის წინანდელი სურათები ცოცხლდებოდა. მუზეუმის დირექტორის ნინო ჯაველიძის სიტყვაში დასახელდნენ ამ სოფლის ღირსეული ადამიანები: არსენ მამულაიშვილი (ლალიონი), რომელიც იოსებ გრიშაშვილის ბიძაშვილი იყო; ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე ღლონტი, რომელსაც დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა: შალვა რადიანი, რომლის სახლ-მუზეუმი სოფელს ამშვენებს.

დვაბზუელებს ეამაყებათ მათი სოფლის ისტორია, რომლის მემატიანეა VI საუკუნის ტაძრის ნანგრევები, ბოლნური ჯვარი, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“მოხსენიებული მათი სოფლის ისტორია...

გვ-3

ავარიას მოხუცი ქალბატონი ემსხვერპლა

გასული კვირის პარასკევს, სოფ. ოზურგეთის ცენტრში ავტომანქანა „ვოლგა“ ქვეითად მოსიარულე 86 წლის ოლია ვახრამოვს დაეჯახა. დაშავებული დროულად გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ იგი გარდაიცვალა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ოცდახუთი წელი სცენაზე და ოთხი დაკარგული სიმღერა

რატომ შეიცვალა დამოკიდებულება „ქართული ხმების“ მიმართ?

ნინო ნიკოლაიშვილი

— ჩვენ, ჩვენი სიმღერებითა და თქვენ, თქვენი თბილი გულით ერთმანეთი გავათბოთ, ამ სიტყვებით მიმართა ანსამბლ „ქართული ხმების“ ხელმძღვანელმა თემურ ჭკუასელმა სიცივისაგან ლამის გაყინულ მაყურებელს და „ქართულ ხმებთან“ ერთად, ხსოვნის საღამოზე მიიწვია. საღამო სახელწოდებით — ოთხი დაკარგული სიმღერა, გასული კვირის სამშაბათს გაიმართა. კონცერტი ჩატარდა ცქრიალა ღვინო „გალაკტიონის“ მხარდაჭერით.

„დრო, სუნთქვასავით გარდასული“, დრომ ვერ დაბინდა მონატრება, ვერც მოელამუნა გულის იარას, რადგან ვერავინ შეავსო უმათობა. მონატრებას ფიქრები მოჰყვა, ფიქრებში მოგონებები წამოიშალნენ, მერე ფრაზები დალაგდნენ ფიქრთა წყობისად. სცენაზე გამოვიდნენ სევდისგან მხრებდათოვლილი „ბიჭები“. სცენის მიღმიერი სურათებიდან და ვიდეოკადრებიდან კი, დროთაგან გაუტეხელნი, მაგრამ უკვე დროში გარდასული ბიჭები იღიმებოდნენ, გოგი დილიძე, დათო გოგიაშვილი, გურამ თამაზაშვილი, ზაურ ბოლქვაძე. მეგობრებმა, მეგობრებს შეუწყვეს ხმები ისე, როგორც ადრე... ასე დაიწყო, ასე გაგრძელდა, ასე გასრულდა სევდით, ღიმილით, სიყვარულით, მონატრებით აღსავსე ეს საღამო, რომელიც თემურ ჭკუასელს მიჰყავდა და რომლის სცენარის ავტორიც თავად გახლდათ. ანსამბლის ხელმძღვანელმა გაიხსენა ის დრო, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები შეიკრიბნენ, ქართული სიმღერის ტაძარი შექმნეს და ამ ტაძარში ლოცვად დამდგარნი, „ქართული ხმებით“ ეფერებოდნენ ქართული სულის ამოძახილს, ქართულ სიმღერებს. “შემდეგ ის კადრები აჩვენეს, ანსამბლის ცხოვრებას რომ ასახავდა. იუმორი, ზოგჯერ დამღლელი, მაგრამ ხალისიანი მოგზაურობანი სამშობლოსა თუ უცხოეთში, მაყურებელთან შეხვედრის განცდა, დაპყრობილი სცენები და დაპყრობილი გულები. კადრებს მრავალჟამიერი ჩაენაცვლა ცოცხლად ნამღერი, მერე ნათელღიმილიანი გოგი დოლიძე გამოიხმეს სცენისმიღმიერი კადრებიდან. —„თვითონაც სიყვარული იყო და სიმღერა, ყველა ტაში, რომელსაც გვიკრავდნენ, სწორედ გოგის ეკუთვნოდაო“, თემურ ჭკუასელს ხმა გაებზარა ტექსტის კითხვისას. —„გოგის წასვლით „ქართული ხმებისთვის“ გაზაფხული დამთავრდაო“ — არც ამის გახმოვანება იყო მისთვის ადვილი. გოგი კვლავ იღიმოდა, მღეროდა და სიმღერაში იკარგებოდა. თურმე კი არ დაკარგულა, გაზაფხულში გარდასულა იგი, გაზაფხულს გაჰყოლია. საქართველოს გაუჭირდა უმისობა და, რა იქნებოდა მეგობართა განცდა. ისევ მოვიდა გაზაფხული, ოღონდ გოგის გარეშე. დრომ ისევ გაიყოლა მეორე მეგობარი. დათო გოგიაშვილი (თავგასა), ასე უწოდებდნენ მეგობრები. „—საქართველოში ბანებს რა გამოლევს, მაგრამ ჩვენ არა მარტო კარგ ბანს, კარგ პიროვნებას ვეძებდით... “ საღამოს წამყვანმა ნოველა წაიკითხა, რომელშიც ავტორის სული და ხასიათი იკითხებოდა, მერე შემოდგომის ფოთოლცვენა დადგა.

გურამ თამაზაშვილი დაკარგეს მეგობრებმა. საოცარი ხმისა და გულის პატრონი. მისი სახე გააცოცხლეს. ტკივილს ტკივილი მიუმეგობრდა. „დრომ კვლავ თავისი მოითხოვაო“, ზაურ ბოლქვაძე დააკლდა მათ და ჩამოზამთრდა. გაუხედნავი ცხენის ჭენებას შეადარა მეგობრის ნამღერი, საოცარი იყო —„მისი ყელიდან ამოვარდნილი ულამაზესი ბგერა. ძნელი იყო მასთან სიმღერა, გოგი და გურამი ახერხებდნენ მასთან ჭენებას, მაგრამ სამწუხაროდ, დღესასწაული დიდხანს არასოდეს გრძელდება“. ვიდეოფირზე ასახული კადრები კარგად ასახავდნენ, როგორ აფასებენ ქართულ სიმღერას კორსიკაში, როგორ ჩამოჰგავს მათი სიმღერა ჩვენსას და როგორ მეგობრობენ „ქართულ ხმებთან“. საღამოზე შესრულდა როგორც ხალხური ისე ქალაქური სიმღერები. —„როცა სიბერე ჩახუტებას გიპირებს... როცა დრო თავისას მოითხოვს, ჩამოგვლის და... “ ასე, კითხვანარევი სიტყვები ჩამოატარა წამყვანმა, ასე ჩამოიარა გაზაფხულმაც, ზაფხულმაც შემოდგომამაც ზამთარმაც, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა გულში, ყველამ თავისი სათქმელი და სასიმღერო დაუტოვა მეგობრებს. მერე ისევ შეუერთდა ერთმანეთს სცენისა და სცენისმიღმიერი ხმები.

ხსოვნის საღამოს მხარდამჭერი, ასკანელი ძმების შუათანა ძმა ზურაბ ჩხაიძე, „ქართულ ხმებთან“ ერთად მღეროდა. მან უკვე ტრადიციად ქცეულ ფესტივალ „ქართული სულის“ სპეციალური ჯილდო და ოქროს მედალი გადასცა შემოქმედის ეპარქიის სახელზე მამა კვირიკეს (ხეცურიანი), ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელს ტრისტან სიხარულიძეს.

ზურაბ ჩხაიძე: —ამ პროგრამის იდეა მაშინ გაჩნდა, როცა კორსიკელები ჩამობრძანდნენ და კონცერტი გვქონდა ფილარმონიაში. დავიწყეთ ვალედან და დღეს კეთილი ადამიანები დაგვეხმარნენ, რომ ეს საღამო შემდგარიყო. მადლობა ყველას, ვინც მობრძანდა. კონცერტები ტარდება, მაგრამ „ქართულ ხმებთან“ შეხვედრა არ უნდა ენატრებოდეს მაყურებელს. კარგი იქნება, თუკი მომავალში დარბაზი გამთბარი იქნება, რათა კონცერტი უფრო კომფორტულ გარემოში ჩატარდეს. ეს საღამო გაგრძელებაა ჩვენი ტრადიციებისა. გოგი დოლიძე აქ დაიბადა, ზაურ ბოლქვაძე აქ დაიბადა, მღეროდა „შვიდკაცაში,“ წავიდა შემდეგ და მსოფლიომ გაიცნო. გურამ თამაზაშვილი გურული იყო, აგერ სამებაში ცხოვრობდა. თავგასა აქ მუშაობდა. ეს ტრადიციები უნდა შევინარჩუნოთ. ოზურგეთში ზაურ ბოლქვაძის ქუჩა უნდა იყოს, „ხასანბეგურას“ ქუჩაც.

თემურ ჭკუასელი:— ამ შეხვედრას ცონცერტს ვერ დავართქმევდი, ეს იყო ხსოვნის საღამო, რომელიც ჯერ თბილისში ჩატარდა, შემდეგ ახალციხეში, ურეკში და ახლა ოზურგეთში. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიგით მეოთხე საღამოა, (წამყვანის ტექსტი ჩემს მიერაა დაწერილი), შეამჩნევდით, ორჯერ ხმა ამიკანკალდა, ძნელია ამ ბიჭებს უყურო და ყველაფერი ემოციების გარეშე გააკეთო.

მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს მოვიდნენ კონცერტზე, დარბაზიდან ვგძნობდით ჩვენდამი სიყვარულს, იყვირა კიდეც ვიღაცამ დარბაზიდან „მიყვარხართო.“ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. როცა დარბაზიდან დადებით მუხტს გრძნობ, თავადაც იმუხტები და როგორც ექო, ისე უბრუნებ ამ მუხტს.

გაზეთ „ალიონის“ შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა მოწვევა, თემურ ჭკუასელმა გვიპასუხა:—კონცერტი „ქართული სულის“ ეგიდით ჩატარდა. არ ყოფილა თავგადაკლული სურვილი მოწვევისა. იცით, ანსამბლის ერთ-ერთი წევრი ზაურ ბოლქვაძე ოზურგეთელი იყო, ოზურგეთთან იყვნენ დაკავშირებული სხვებიც. არანაირი ანაზღაურება ჩვენ არ მოგვითხოვია, უბრალოდ იყო საუბარი დაბინავებაზე და კვებაზე. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო გამგებლის მოადგილე ლადო ქვილორიას, ქალბატონებს მარინა ჯაფარიძეს და ირინა საჯაიას ყურადღებისათვის.

არ მაქვს იმის სურვილი, რაიმე სახის განცხადებები გავაკეთო, რომელსაც პოლიტიკური ელფერი დაკრავს. ლამაზი საღამო იყო და მინდა ასე ლამაზად დავამთავრო.

თუმცა შემდეგ თემურ ჭკუასელმა ვერ დამალა თავისი გულისტკივილი. შემდეგ ის ქალაქები დაასახელა, სადაც კონცერტი არ ჩაატარებინეს. ქუთაისში, ბათუმში, ლანჩხუთსა და ზესტაფონში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რამდენიმე წლის წინ, როცა ზაურ ბოლქვაძის საღამო ჩატარდა ოზურგეთში, „ქართული ხმები“ დიდი პატივით მიიღო ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ამჟამად კი ხელისუფლების არცერთი მაღალჩინოსანი საღამოს არ დასწრებია. ამ დამოკიდებულებას ანსამბლის მიმართ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორით ხსნიან.

სწორედ მასზე იტყოდი—„ნიჭი ძამიკო, ნიჭი...“

17 ნოემბერს მას 85 წელი შეუსრულდებოდა. მისი სახელის გასწვრივ აღარ მოგინდება ახსენო უკვე ყოველდღიური, შოუში გაცვეთილი სიტყვები—ვარსკვლავი, არაჩვეულებრივი, განუმეორებელი, ლეგენდარული. უბრალოდ, როგორც თავად იტყოდა ყოველი რეპორტაჟის ბოლოს—კოტე მახარაძე.

მისმა ახლობლებმა აღნიშნეს, რომ არ უყვარდა სუნამო, ასეთ რამეს დაბადების დღეზეც ვერ აჩუქებდი. იტყოდა—მამაკაცს კაცის სურნელი უნდა ჰქონდესო...

არ ვიცი, რა უყვარდა და რა არა, რისი გადალახვა შეძლო და რისი ვერა, ან როგორც კაცს, სად შეეშალა... ჩვენთვის, თითოეული ქართველისათვის, კოტე მახარაძე იყო უსაზღვრო ნიჭი. სწორედ მასზე იტყოდი—„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!..“

ერთ მშვენიერ დღეს, როცა მეტეხის ეკლესიიდან „გამოაბრძანეს“ ერთი მსახიობის თეატრი, ქალბატონმა ეთერ გუგუშვილმა თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრი დაუთმო. იქ იმართებოდა ქართული სიტყვის ნამდვილი ზეიმი. იქნებ არ იყო უნიკალური მისი „კვაჭი კვაჭანტირაძე,“ ან „ურიელ აკოსტა,“მითუმეტეს, როცა ეს უკანასკნელი უშანგი ჩხეიძემ განასახიერა, მაგრამ ის, რაც კოტე მახარაძემ გააკეთა ერთი მსახიობის თეატრის შექმნით, რომელსაც შემდგომ ვერიკოს თეატრი ეწოდა, ვერცერთი თეატრის კორიფე ვერ შეძლებდა. პატარა სცენაზე თავად იყო სიტყვის, მუსიკის, პლასტიკის, დიქციის, ბატონ-პატრონი. ეს პატარა თეატრი მან საგანმანათლებლო კერად აქცია და მისი სპექტაკლებიდან გამოსული მაყურებელი უკვე იყო ინტელექტით შემოსილი...

მორიგი სპექტაკლის შემდეგ შევხვდით სტუდენტები. ბევრი გვესაუბრა სიტყვის ძალაზე. მახსოვს, მაშინ ახსენა ულამაზესი ქართული სიტყვა, იოანე პეტრიწის ლექსიკონი—**მ ი დ მ ო გ ო ნ ე ბ ა**—ფიქრი, სჯა, მიმოსვლა აზრისა.

კოტე მახარაძე არა მარტო კარგად ფლობდა და გამოხატავდა სიტყვას, არამედ უფრთხილდებოდა კიდეც, ამიტომ იყო მისი ყველა სიტყვა წონადი. მან ეროსი მანჯგალაძესთან ერთად განავითარა სპორტული ჟურნალისტიკა, კერძოდ, საფეხბურთო ტერმინოლოგია.

„მაგონდება, როგორ წავედით ეროსი და მე პროფესორ ვუკოლ ბერიძესთან, რათა ზოგიერთი ტერმინისა და გამოთქმის სიზუსტე დაგვედგინა. რაოდენ გულისყურით მოეკიდა ამ საქმეს მხცოვანი მეცნიერი! სხვათაშორის, ბევრ სხვასთან ერთად იმ დღეს გაჩნდა გამოთქმა—თანამსაჯი. ვუკოლ ბერიძემ გამოთქვა აზრი, რომ ტერმინი გვერდითი მსაჯი აკნინებს ამ მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციებს, ხოლო „მსაჯი ხაზზე“ პირდაპირ თარგმანია ინგლისურიდან და არ გამოხატავს მოვლენების სიზუსტესო.“

... როცა კოტე მახარაძე გარდაიცვალა, ასეთი შეგრძნება დარჩა, თითქოს დამცავი სარტყელი მოეხსნა ქართულ სიტყვას, კულტურას, თეატრს, სპორტს. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წელი გავიდა და ეს იგრძნობა კიდეც.

ქალბატონმა სოფიკო ჭიაურელმა აღნიშნა, —იღბლიანი კაცი იყო კოტე მახარაძე. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი მის საწოლან იდგა ყველა ის ადამიანი, ვინც მას ყველაზე, ყველაზე ძალიან უყვარდაო...

მეამაყებოდა, რომ 17 ნოემბერს ჭყვიშში დაიბადა გალაკტიონი.

„ყველაფერი სადაა, მაგრამ მითხარ სადაა
ის, რაც აღესრულა.“

ოლიკო კობალავა.

დვაბზუელებმა ლალიონის იუბილე აღნიშნეს

დვაბზუს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლალიონის „რაქვიანა“ წარმოადგინეს და უახლოესი წარსული გააცოცხლეს.

ამ ლამაზ დღეს განსაკუთრებული ელფერი შესძინა ქეთი, სალომე, თამთა კვირკველიების მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა.

დვაბზუს საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მზია დათუნაიშვილმა სანდომიანი ქალბატონის ძველი ფოტო მაჩვენა და მოკლე ისტორია გადმოგვცა:

—ეს ქალბატონი, არსენ მამულაიშვილის ასული თამარი გახლდათ. ბაბუაჩემის, ილიკო დათუნაიშვილის ბიძაშვილი პროფესიით პედაგოგი იყო. მათი სახლი ახლანდელ მეტრო „რუსთაველის“ მოპირდაპირე მხარეს იდგა. არსენის და მატა მამულაიშვილი ცოლად ჰყავდა დათა დათუნაიშვილს. დათას ბიძაშვილი იყო ცნობილი ფირალი კიკია დათუნაიშვილი...

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა გაზეთ „ალიონს“განუცხადა:—„მართლაც მშვენიერი დღე არის. წარსული გააცოცხლეს და საუკუნოვან ეზოში ყველაფერი ლამაზად წარმოგვიდგინეს მუზეუმის პროფესიონალმა თანამშრომლებმა, მოსწავლეებმა, რომლებიც მონდომებული არიან, მეტი იცოდნენ თავისი სოფლის ისტორიის შესახებ.

მომავალი წლის ბიუჯეტით დაგეგმილია აქ ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობა, დაიდგმება ფაცხა. კეთილმოეწყობა მუზეუმთან მისავლელი გზაც. ასე,

„ასე მარტივად არ წარმოითქმის ეს სახელი – პირველი საჯარო სკოლა“

ნინო ნიკოლაიშვილი

–პირველი საჯარო სკოლა, ასე მარტივად არ წარმოითქმის ეს სახელი. დიდი პატივია, ამ სკოლის მოსწავლე გახდე. ეს იმიტომ, რომ ასეთმა მასწავლებლებმა მოიტანეს ჩვენი სკოლის სახელი დღემდე.

გავკადნიერდი და მოვედი თქვენთან, რომ ჩემს მოსწავლეებს, მათ მშობლებს გავაცნო, ვინ არის ცირა დოლიძე, როგორი პედაგოგი და როგორი ადამიანი,— ასე დაიწყო თავისი სიტყვა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა ქ-მა ნანი სალუქვაძემ, ამაგდარ მასწავლებელთან ქ-ნ ცირა დოლიძესთან სტუმრობისას, სადაც თავისი აღსაზრდელები მშობლებთან ერთად მიიყვანა“ თქვენ, პროფესიულ სიმაღლეზე მაღლა იდექით მუდამ“ — ეს სიტყვები დაუმსახურებლად რომ მიუძღვნა ვინმეს, პათეტიკური გამონათქვამი დარჩება მხოლოდ, მაგრამ თუ ის გულწრფელად ნათქვამია, და თუ ამას ნამდვილად იმსახურებენ, რაოდენი შრომა, გამძლეობა სჭირდება ადამიანს ამ სიმაღლეზედ კიდევ უფრო ასამაღლებლად. რამდენი ბავშვის სიყვარული უნდა დაეტია, რამდენ სიცელქეს შეხვედროდა დიდსულოვნად და მშვიდად, რამდენი ღამე უნდა თენებულიყო, და თუ ასე არ იქნებოდა, ვერც ვერასოდეს იტყოდნენ მასწავლებელზე — მოძღვართ მოძღვარი.

ჰოდა ეს მოძღვართ მოძღვარი იყო იმ დღის მასპინძელი. მისი მყუდრო სახლი პირველი „ა“ კლასის მოსწავლეებმა აახმიანეს — „სილამაზითა და სიყვარულით გესტუმრეთ თქვენი სკოლიდან პატარები... გადმოცემით ვიცით, რომ იყავით საუკეთესო დამრიგებელი, აღმზრდელი, პედაგოგი“. მართლაც სიყვარულის და იმ უშუალობის ნაპერწკლები იფრქვეოდა ირგვლივ, რომელიც ბავშვებს შეუძლიათ მხოლოდ და მოეფერნენ მათთვის, ახლა უკვე ნაცნობ ბებოს. თუმცა უკეთ გასაცნობად მაინც დაუსვეს კითხვები; —როგორი ბავშვი იყავით? — ვიყავი წყნარი დამჯერე ბავშვი, არასოდეს ვაბრაზებდი დედას, მამას.

—როგორი მასწავლებელი იყავით? — არ მიყვარდა გაჯავრება, მეგობრობას უფრო ვახერხებდი ბავშვებთან, ხუმრობით „ხანუმასაც“ მეძახდნენ კოლეგები, რადგან ვიყავი ჩემი აღსაზრდელების სიყვარულის დამცველი. აქ მისი ყოფილი მოსწავლეების, მაია თავაძისა და თემურ სალუქვაძის სიყვარული გაიხსენა, — საოცარი, ლამაზი სიყვარული გააჩნდათ, არ შეიძლებოდა პატივი არ გეცა მათი გულწრფელი გრძნობისთვის.

— ჩემი ცირა მასწავლებელი — ასე მიმართა ნანი მასწავლებელმა უფროს კოლეგას, რომლისგანაც მისი თქმით, უსაზღვროდ ბევრი სიკეთე და კარგი მაგალითი ახსოვს. მერე მის შრომით ბიოგრაფიაზე ისაუბრა. 55 წელი ასწავლიდა ქ-ნი ცირა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას. 55- ჯერ ათმა თაობამ გაიარა მისი გულის გულში. რამდენი სიყვარულის მომსწრე გამხდარა. რამდენი ტკივილის თანამოზიარე. ამიტომაც მიმართა უმცროსმა კოლეგამ, მადლიერებით — მადლობა დარბაისლობისათვის, მადლობა ღვთისნიერებისათვის, კარგი დედობისთვის, მეგობრობისთვის. მერე ცირა მასწავლებლის ოჯახი გააცნო თავის აღსაზრდელებს ნანი მასწავლებელმა. ოთხი საუკეთესო შვილის აღზრდა ადვილი არ იყო. არც იმ ტრაგედიასთან გამკლავება იყო ადვილი, შვილის დაკარგვით რომ დაატყდა თავს. ბავშვები დროდადრო თვალს აპარებდნენ ახალგაზრდა, ლამაზი ქალის სურათისაკენ, რომელიც მომხიბვლელად იღიმებოდა. არც ორი ძმის ახალგაზრდულ ასაკში დაკარგვა იყო ადვილი (სრულიად ახალგაზრდები დაიღუპნენ რუსეთ-გერმანიის ომში). თავად სხვებს ასწავლიდა, ცხოვრება არ არისო ადვილი, მასთან გამკლავებას დიდი ძალა სჭირდებაო. ამ ძალამ შეაძლებინა ყველა ტკივილთან გამკლავება. ახლა გარდაცვლილი შვილის ხსოვნის, სამი შვილის და შვიდი შვილიშვილის სიყვარულია მისი საზრუნავი. კარგი შვილიშვილები მყავსო — სიამაყით თქვა. თანაც ათასი მადლობა გადაუხადა პატარებს, მათ მშობლებს და განსაკუთრებით ნანი მასწავლებელს, რომელმაც არაერთი ლამაზი დღე აჩუქა მას, მის მეგობრებს, და რომელიც ასევე სიყვარულით ზრდის თავის აღსაზრდელებს, თავს დასტრიალებს მათ, არა მარტო ანა-ბანასა და თვლას ასწავლის, პირველ რიგში უფლის, სამშობლოს, მოყვასის სიყვარულს, ღვაწლის დაფასებას და მადლიერებას.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!



ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქ. ოზურგეთის №1, №2, №6 საჯარო სკოლების ყოფილ დირექტორს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, მთავრობის არაერთი ჯილდოს მფლობელს, ნიკოლოზ შუბლაძეს დაბადებიდან 90 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გაზეთ „ალიონის“რედაქცია

„ედელვაისმა“ კვლავ წარმატებას მიაღწია

ქ. ბათუმში, შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს მუსიკალური საზოგადოება“ აჭარის რესპუბლიკური გამგეობის ორგანიზატორობით ჩატარდა მე-7 რესპუბლიკური ფესტივალ —კონკურსი„„ჩემი ხატია სამშობლო“. (ფესტივალის დირექტორი ნოდარ საგინაძე).

ფესტივალ კონკურსში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ცეკვის, საესტრადო და ფოლკლორული 37 ანსამბლი.

აღნიშნულ ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობდა ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებული ქართული ხალხური ინსტრუმენტალური ანსამბლი „ედელვაისი“, რომელსაც იური ჩიხლაძის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ მისი ვაჟი გიორგი ჩიხლაძე ხელმძღვანელობს.

ფესტივალ-კონკურსზე ანსამბლმა ორი სიმღერა შეასრულა: „იქსი“ (ავტორი იური ჩიხლაძე) და „მთიულური პოპური“. ორთავე ნომერმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ფესტივალის გრან-პრი ქუთაისლებს გადაეცათ; „ედელვაისი“ „მთიულური პოპურის“ შესრულებისთვის პირველი ადგილის მფლობელი გახდა. მეორეზე ზესტაფონის ანსამბლი გავიდა.

„შემოდგომის თასი“ ფოთელებს დარჩათ

ოზურგეთში, ზვანის სტადიონზე გაიმართა დასავლეთ საქართველოს ე.წ. „შემოდგომის თასის“გათამაშების ფინალური შეხვედრა რაგბიში ოზურგეთის „არწივებსა“და ფოთელ „კოლხ რაინდებს“შორის. თამაში მეტად დაძაბულად წარიმართა. ფოთელები გაძლიერებული შემადგენლობით ჩამოვიდნენ. მათი სამი მოთამაშე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრები არიან და ახლახან რუმინელების ძლევის შემდეგ ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

პირველი ტაიმი ფრედ 3:3 დასრულდა. მეორე პერიოდში „არწივები“კიდევ უფრო გააქტიურდნენ და 8:5 მიჰყავდათ ანგარიში, მაგრამ... საბოლოოდ „შემოდგომის თასს“ფოთელები დაეუფლნენ.

შეხვედრის შემდეგ ზვიად უნგიაძესთან ინტერვიუ ჩავიწერეთ:

ზვიად უნგიაძე: —„შემოდგომის თასის“ გათამაშება ამ ასაკში პირველად ჩატარდა. როგორც რაგბის ფედერაცია, ისე რაგბის ყველა გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა, ვინ გახდებოდა გამარჯვებული. ბოლო პერიოდში ჩვენ ბევრი ძლიერი მოწინააღმდეგე დავამარცხეთ. ზაფხულის არდადეგებზე დაბა ჩაქვში გასული ჩემპიონატის III პრიზიორს თბილისის „ივერიას“16:13 ვძლიეთ. ხშირად გაიგონებ ცალკეული შეხვედრის შემდეგ „მსაჯმა წამაგებიაო,“რაც გამართლებულად არ მიმაჩნია, მაგრამ ამ შეხვედრაში ყველამ დაინახა მსაჯის მიუტევებელი შეცდომა, შეხვედრის ბოლოს არასწორად დააფიქსირა მოწინააღმდეგის ლელო. არა უშავს, ყველაფერი წინ არის, ესეც დიდი წარმატებაა ჩვენი კლუბისათვის, მთავარია მაყურებელმა შეაფასა ეს ყველაფერი. მამა შალვამ (გიორგაძე) ბრძანა:—„არ მეგონა, თუ ასეთი გუნდი გყავდათ. დღეს განცვიფრებული დავრჩი ჩვენი რაგბისტების თამაშით. აწი ყველა თამაშს დავესწრები“.

ტურნირს ორგანიზება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა გაუკეთა. მან ისეთი დონის თასი დააწესა, მატჩის კომისარი გაანცვიფრა, ასეთი დონის და სიდიდის თასი საქართველოს ჩემპიონატსაც კი დაამშვენებდაო.

მადლობას ვუხდით გურიის გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს, რომელიც კლუბის დაარსებიდან დღემდე ჩვენი მხარდამჭერი და გულშემატკივარია. მხარდაჭერა გვაქვს მუნიციპალიტეტის გამგებელ ილო ვაშაყმაძისაგანაც. ასევე მადლობა ვუხდით შპს „ვასაძის პურის“ ხელმძღვანელს მერაბ ვასაძეს და შპს „ექსპრესის“(გულისტანი) ხელმძღვანელს სავაშ თურქსალს ფინალური შეხვედრის სხვადასხვა ხარჯების უზრუნველყოფისათვის.

ბათუმში, საერთაშორისო ტურნირზე

18-20 ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს რეგიონების მოჭიდავეები.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის ლიხაურის ფილიალის მოჭიდავეებმა გიორგი კუჭაშვილმა და სამუკა დარჩიამ 74 და 120 კგ. წონით კატეგორიებში III საპრიზო ადგილები დაიკავეს. (მწვრთნელი ალ. ბოლქვაძე).

96 კგ. წონით კატეგორიაში ასევე III საპრიზო ადგილი დაიკავა მარად ქრთიანმა (მწვრთნელი გურამ აბაშიძე).

ვულოცავთ ჟურნალისტს, ჰაინიგზელს, ფეხბურთის დიდ ქომაგს გია ტულუშს დაბადებიდან 50 წლისთავს და ვუსურვებთ კვლავ წარმატებებს ოჯახში, სამსახურში, სპორტში.

ოჯახი, თანამშრომლები, მეგობრები.

გურიის XVI რეგიონალურ საჭადრაკო ჩემპიონატს ჩოხატაური პირველად მასპინძლობს

გურიის რეგიონალურ საჭადრაკო ჩემპიონატების ჩატარებას 1995 წელს ჩაეყარა საფუძველი, ანუ მას შემდეგ, როცა ენთუზიასტთა ინიციატივით, (ამირან ბერძენიშვილი, მზია მწერეთელი, ზურაბ ანდღულაძე, ომარ ბიჭიკაშვილი, გიგლა და ვალტერ ლომჯარიები) გურიის ჭადრაკის ფედერაცია ჩამოყალიბდა. იგი ყოველწლიურად შემოდგომაზე იმართება და გურულ მოჭადრაკეთა წლის ერთგვარ შემაჯამებელ ღონისძიებასაც წარმოადგენს. დღემდე ჩატარებული 15 ჩემპიონატიდან 10 ოზურგეთში გაიმართა, ხოლო 5 – ლანჩხუთში. დასაწყისში ჩემპიონატები ვაჟთა და ქალთა შორის ცალ-ცალკე იმართებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ქალებმა დაიწყეს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა დაჯაბნა, ვაჟთა და ქალთა პირველობები ერთიანი ფორმით ტარდება.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ჩატარებული ჩემპიონატების სტატისტიკის გაცნობა.

I ჩემპიონატი, 1995 წ, ოზურგეთი, 9 მონაწილე – სპორტის ოსტატი ამირან ბერძენიშვილი (ჩოხატაური).
II ჩემპიონატი, 1996 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).
III ჩემპიონატი, 1997 წ, ოზურგეთი,7 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).
IV ჩემპიონატი, 1998 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).
V ჩემპიონატი, 1999 წ, ლანჩხუთი, 14 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).
VI ჩემპიონატი, 2000 წ, ოზურგეთი, 13 მონაწილე – თორნიკე ხვედელიძე (ოზურგეთი).
VII ჩემპიონატი, 2001 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).
VIII ჩემპიონატი, 2002 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე – მინდია ჩხიკვიშვილი (ოზურგეთი).
IX ჩემპიონატი, 2003 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).
X ჩემპიონატი, 2004 წ, ოზურგეთი, 11 მონაწილე ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).
XI ჩემპიონატი, 2005 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).
XII ჩემპიონატი, 2007 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).
XIII ჩემპიონატი, 2008 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).
XIV ჩემპიონატი, 2009 წ, ლანჩხუთი, 16 მონაწილე – ტარიელ ხუხუნაიშვილი (ლანჩხუთი)
XV ჩემპიონატი, 2010 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ტარიელ ხუხუნაიშვილი (ლანჩხუთი)

ლანჩხუთელთა მკვეთრი დაწინაურება შეიძლება ითქვას იმით არის გამოწვეული, რომ სხვადასხვა მიზეზით (სტუდენტობა, სხვა ქალაქში მუშაობა და სხვა) ოზურგეთელი ძლიერი მოჭადრაკეები ვერ ახერხებენ ჩემპიონატებში რეგულარულად მონაწილეობას, (გიგა ქუტიძე, ლანა ლომაძე, მინდია ჩხიკვიშვილი, თორნიკე ხვედელიძე, გიორგი გოგოლაური და სხვები) რაც ჩეეხება ჩოხატაურს, აქ საჭადრაკო აქტიურობა თითქმის 20 წელია მოიკოჭლებს. 15 ჩემპიონატიდან ჩოხატაურლები მხოლოდ 3-ჯერ მონაწილეობდნენ რეგიონალურ პირველობაზე, თუმცა შარშანდელმა ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ისინი საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენენ. განსაკუთრებით გამოირჩევა საჭამიასერელი გივი ქორიძე და ბასილეთელი კარლო ცხომელიძე. რაც შეეხება სპორტის ოსტატ ამირან ბერძენიშვილს, ჯერჯერობით ვერ ახერხებს ჩემპიონატის მარათონში ჩაბმას.

ჩოხატაურში ჭადრაკის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, გურიის ჭადრაკის ფედერაცია XVI ჩემპიონატს ჩოხატაურში ატარებს.

23 ნოემბერს – გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, XVI ჩემპიონატი ჩოხატაურის ისტორიულ მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა. აქ შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ანდღულაძე. ჩემპიონატის მონაწილეებს და მრავლად შეკრებილ საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლელა იმედაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ანტონ ხუნდაძემ.

გასათამაშებელი 11 ტურიდან ექვსი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: I გივი ქორიძე (ჩოხატაური) – 5.5 ქულა; 5-5 ქულა აქვთ ოზურგეთელ ელგუჯა ურუშაძეს, ჩოხატაურელ კარლო ცხომელიძეს და გურიის სამგზის ჩემპიონს ლანჩხუთელ ნუგზარ გვარჯალაძეს. რეგიონის შარშანდელი ჩემპიონი ტარიელ ხუხუნაიშვილი 4 ქულით მე-5 ადგილზეა. არასახარბიელო სტარტი აიღო ოზურგეთის 2011 წლის ჩემპიონმა გივი სიამაშილმა, რომელსაც 3 ქულა აქვს, ხოლო აკაკი გოგუას – 2.

ჩემპიონატის ბოლო ტური 29 ნოემბერსაა დანიშნული, ხოლო ჩემპიონატის დახურვა 30 ნოემბერს შედგება.

იური ჩიხლაძე
უცნობი ლექსები



ამ ზაფხულს, იმ დღეებში, როდესაც დიდ ქართველ მწერალს ოტია იოსელიანს ვეთხოვებოდით, იქვე ახლოს, ქუთაისში, „მსოფლიოში საჩვენებელ" საავადმყოფოში სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე იმყოფებოდა ნიჭიერი ქართველი კაცი, ხელოვანი და პოეტი იური ჩიხლაძე.

მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი ნიჭით, შემოქმედებით ბევრჯერ ასახელა საქართველო არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე, არაერთი ბრძოლა მოიგო „ხელოვნების ტატამზე," ავარიისას მძიმედ დაშავებული, მთელი 19 საათი ელოდა ჯანდაცვის მესვეურების „გულმოწყალებას", იქნებ არ გაემეტებიათ სიკვდილისათვის.

ამაოდ ეაჯებოდა იურის ერთგული მეუღლე საავადმყოფოს დირექციას, „ეს ისეთი კაცია, სასიკვდილოდ არ გაწირავენ და თანხას დაფარავენო", მაგრამ „ჯანდაცვის რეფორმა"დუმდა. მხოლოდ სოლიდური თანხის დაფარვის შემდეგ შეუდგნენ დაგვიანებულ ოპერაციას, რომლის წარმატების ალბათობა ალბათ ერთ პროცენტს თუ შეადგენდა. ახლა 20 წლის წინ მის პირველ და ერთადერთ კრებულში შეტანილი, ერთ-ერთი ლამაზი ლექსის სტრიქონები:

„დღეს ბედკრული მიწას უნდა ჩავეფერფლო,
აწ ვერასდროს ველარ გაგიხალისდებით,
სიკვდილის წინ ერთხელ მინდა მოვეფერო,
დამიბრუნეთ ჩემი ედელვაისები."

...და ასე. როგორც თვითონ იტყოდა „წუთისოფლის ხვედრი, მძიმე არის, მძიმე..."

ჩვენ არვის ვთხოვთ პასუხს, იგი სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა და ამისთვის, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი ემზადებოდა კიდეც. არვის მიმართ საყვედური არ წარმოუთქვამს არც მის ბაგეებს.

* * *

იური გასული საუკუნის 80-იანი წლებში გავიცანი. თანამოაზრეებთან ერთად კონცერტებს ატარებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ჩრდილოეთ კავკასიაში. შემდეგ ოზურგეთის საზოგადოებას 9 აპრილმა დააახლოვა იგი და მას შემდეგ არ დაცილებია. ძალიან მორიდებული ახალგაზრდა კაცი იყო. პირველად გაზეთ „ლეხოურში" დაიბეჭდა მისი ლექსები, შემდეგ ცხონებულმა ნინო გოგუაძემ– გაზეთ „თვალსაწიერში" დაბეჭდა. მეგობრების მონდომებით და თანადგომით 1991 წელს ლექსების ერთადერთი კრებული „მეუფის გვირგვინი" გამოსცა. შემდეგ... რთული წლები იყო. იური ჩიხლაძე კი...„მაგრამ მე, უფლის წინაშე ვდგავარ/ და არაფრის არ მეშინია."

შემდეგ იყო ანსამბლები „ედელვაისი," „პირველი სხივი"და წარმატებები ფესტივალებზე, რამდენიმე გრან-პრი, მაყურებელთა მქუხარე ტაში ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში...

როგორ აკლია იური ჩიხლაძე ოზურგეთს. იგი ნამდვილი კოლორიტი იყო. მას სხვაგვარად ესმოდა ადამიანის მოვალეობა, სხვებისთვის „იზღვაბედნიერე" ემეტებოდა, თავად კი ხლოვნების სამსახურში ვალმოხდილი, ნაადრევად აღესრულა.

ეს ლექსები ახლახან მისმა მეუღლემ, ქ-ნმა ნინომ იპოვა. ვფიქრობ მათი გაცნობა ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველთათვის.

ნ. ასათიანი

* * *

გადაშლით ალბომს,დააკვირდით მდუმარ სურათებს
და რაღაც ბოლმა მოგადგებათ გულში უმალვე.
გაგვახსენდება სიყმაწვილის დრო გარდასული,
სიყრმის ასაკში რომ იყავი, ცელქი პაწია,
გაგახსენდება უკვდავების დრო არნახული,
და რომ იცოდე ეს ყველაზე დიდი განძია.
იქნება თვალზე ცრემლის ღვარმა დაიწყოს დენა
იქნებ კიდეც გსურს გულში ისევ ის ცეცხლი გენთოს,
იქნებ მაღალ ღმერთს შესთავაზო ოქრო და ვერცხლი,
რომ დაგიბრუნოს ის ასაკი, რაც იყავ ერთ დროს
მაგრამ იცოდე, ამაოა ის ყველა ფიქრი,
რადგან ცხოვრება გავარდნილი არის აფთარი,
და თუ მოასკდა ერთიანად ცას თეთრი ფიფქი,
გვიანღა არის, მოგვდგომია კარზე ზამთარი.

1984 წ.

დაბადების დღე

რად გვიხარია დაბადების დღე
ან სიხარული მომდგარი კარზე,
რატომ და რისთვის, არ დავფიქრდებით
რომ დაბადების დღეს სიკვდილი დასდევს.
გვიყვარს სიცოცხლე გაუმაძღარი,
გვიყვარს მინდორში ციმციმა ნამი,
მაგრამ რა არის ჩვენი ცხოვრება,
საათმა თვალწინ მოგვპარა წამი.
სწორედ ესა ვართ ადამიანნი,
რაღაც ფიქრებით, რაღაც ოცნებით
რაღაც იმედის მოლოდინით და
ჩვენ წუთისოფელს ვუსისხლხორცდებით.
აი სათქმელი,რაც გულში მქონდა
აი სათქმელი, ჩემს გულს რომ კლავდა
და ამ პატარა ლექსის წერაში
ალბათ სიცოცხლის წუთი მომაკლდა.

1988წ.

* * *

შენია ყველა ის სიხარული,
რაც კი მაჩუქა განჩენმა ოდეს,
ის მოტირალი ვარდიც შენია,
ახლა რომ გიხრის მიწამდე ტოტებს.
შენია ყველა ის სითბო-დარი
გაზაფხულზე რომ მხრებზე დაგათოვს,
მე ღვინით ხშირად ვყოფილვარ მთვრალი,
მაგრამ დღეს შენმა ხილვამ დამათრო.
სუყველაფერი შენია მზეო,
რაც მისხალ-მისხალ ვაგროვე კვნესით,
ჩემი სიცოცხლეც შენია ახლა
რომ მე მარადის ვიცოცხლო შენში.

* * *

შენი გაზაფხული მოვა
მალე ფრთებს გაშლი,
მზე სხივების ფერად თოვას
შენს გულმკერდზე გაშლის.
მზე მის ნათელს ფერად სხივებს
დღეს ღამეში გაცვლის,
აღარ ვეძებ სხვაგან ალაგს
გამოღმით და გაღმით.
აწვიმს ჩემს პატარა ქალაქს.
ყველაფრისგან დაღლილს,
მე დავბერდი, შენ კი
ისევ, მზეჭაბუკად დარჩი.
ვინაც ერთხელ შეგიყვარა
არ წასულა არსით,
შენთვის ცრემლი უკვე კმარა
სევდისა და განცდის.

* * *

სისხინა ვარდებს სციოდათ ქარში
და თან უხმობდნენ ღამის გადიებს,
შენ სიყვარულში იყავი ბავშვი
მე კი ბავშვობა არ მაპატიე.



მამა ვასილი; შვილები მაკა, რუსუდანი; სიძე თემო ბოსტოღანაშვილი; შვილიშვილი ლიზი; მულები ნაზი, ნანი, ეთერ ვაშაყმაძეები იუწყებიან **მარინა ცხვარაძე-ვაშაყმაძის** გარდაცვალებას.

დაიკრძალა 24 ნოემბერს, ქ. ოზურგეთში.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე